ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 89

ქ. თბილისი 03 ოქტომბერი 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი (400098443), შემდგომში წოდებული „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო" (სკ 204478948), მისი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა თბილსისი პარასპორტის განვითარების ცენტრის ბალანსზე რიცხული ავტომობილისათვის (HYUNDAY H1 AH640HA) 4.1. პუნქტში აღნიშნული ავტოტექმომსახურების, CPV კოდი-50112200 (შემდგომში მომსახურება) შესყიდვაზე.

2.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების **ჯამური** ღირებულება (შემდგომში - ხელშეკრულების ფასი) შეადგენს:

750,00 (შვიდას ორმოცდაათი) ლარს

3.2. ხელშეკრულების ფასი და ერთეულის ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1.

№	დასახელება HYUNDAY H1 AH-640-HA	განზ. ერთ	რაო დენო ბა	ერთ. ფასი	თანხა ლარებში	მომსახურება
1	ძრავის ზეთი	ლტ	8	25	200	15
2	ზეთის ფილტრი	ც	1	40	40	0
3	ჰაერის ფილტრი	ც	1	40	40	0
4	581014ha-50-1 ხუნდები	ც	1	180	180	15
5	PAD KIT-REAR DISC BRAKE	ც	1	160	160	15
6	ანტიფრიზი	ლტ	3	15	45	40
	თანხა:				**665**	**85**
	სულ თანხა:	**750,00**				

5. საქონელი/მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული საქონელი/მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვი/მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. 5.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი/მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. საქონლის/მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. ვადები:

6.1.1. საქონელი/მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 07 ოქტომბრამდე.

6.2. ადგილი:

6.2.1. მომსახურება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანიმე-12 კმ.

7. მომსახურების/საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების/საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად.

7.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ცენტრის დირექტორი შალვა მაისურაძე.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღეში.

8.3. ანგარიშსწორების ადგილი: ქ. თბილისი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შალვა მაისურაძე.

10.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 8 ნოემბრამდე.

12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

12.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აიპ თბილისის პარასპორტის	სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
განვითარების ცენტრის	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
მისამართი: ქ. თბილისი, ზელიაშვილის 5	საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948
საიდენტიფიკაციო კოდი: 400098443	TBCBGE22
	GE15TB1100000110467697
დირექტორი	დირექტორი
შალვა მაისურაძე	დავით გიორგობიანი